საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №91/ნ
2021 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ – ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლისა და სსიპ – ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლის რეორგანიზაციისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლის რეორგანიზაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლასთან მიერთების გზით. რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს 2021 წლის 31 დეკემბერს.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ სამტრედიის №11 სკოლა.

მუხლი 3

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ, №112, 26/09/2005):

ა) დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის მე-10 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

10	ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა	ქ. სამტრედია, თელიას ქ. №2; გრიბოედოვის ქ. №47	დაწ-საბ-საშ

“;

ბ) დანართი №4-დან ამოღებულ იქნეს მე-6 გრაფა.

მუხლი 4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაცია.

მუხლი 5

ეს ბრძანება, გარდა მე-2 და მე-3 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6

ამ ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები ამოქმედდეს 2022 წლის პირველ იანვარს.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი